საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030138949755220

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/11108 **14 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

მიმდინარე წლის 24 აპრილს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინიციატივით შეიქმნა COVID-19 სადიაგნოსტიკო და თერაპიულ საშუალებებზე, ასევე ვაქცინებზე ხელმისაწვდომობის დაჩქარების ინსტრუმენტი (ACT, Access to COVID-19 Tools) - ახალი გლობალური თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს აღნიშნული საშუალებების განვითარების, წარმოებისა და თანაბარი განაწილების პროცესს.

COVAX წარმოადგენს ამ ინიციატივის ფარგლებში ვაქცინებთან დაკავშირებულ სპეციალურ ფონდს (COVAX facility), რომლის ერთ-ერთი თანა-წამყვანია იმუნიზაციისა და ვაქცინების გლობალური ალიანსი (GAVI), ეპიდემიებზე მზადყოფნის კოალიციასა (CEPI) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად (WHO). *ფონდის ძირითადი მიზანია COVID-19 ვაქცინის შექმნისა და წარმოების დაჩქარება, და მონაწილე ქვეყნებისათვის მასზე სამართლიანი და თანასწორი ხელმისაწვდომობის გარანტირება.*

ფონდის მიერ მწარმოებელთა კანდიდატი ვაქცინების აქტიურად მართულ პორტფოლიოთა ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყოფილია მონაწილე ქვეყნების წვდომა სავარაუდოდ საჭირო დოზებზე. 2021 წლის ბოლომდე განსაზღვრულია 2 მილიარდი დოზა ვაქცინის შესყიდვა, ყველა მონაწილესათვის.

აღნიშნულ ეტაპზე, COVID-19 ვაქცინის შემუშავება უპრეცედენტო სისწრაფით მიმდინარეობს - განვითარების ფაზაშია 300+ COVID ვაქცინა, ხოლო COVAX ფონდის მიმდინარე პორტფოლიო შედგება 9 კანდიდატი ვაქცინისგან, რომელთაგან 7 უკვე კლინიკური გამოცდის ფაზაშია.

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს, სამინისტროს მხრიდან ხელი მოეწერა COVAX ფონდის მიერ მოწოდებულ სტანდარტულ წერილს ფონდში ქვეყნის ჩართულობის თაობაზე, რომელიც ასევე ითვალისწინებდა შესყიდვის მოდელის წინასწარ არჩევას.

COVAX ფონდის მიერ შემოთავაზებულია ვაქცინის შესყიდვის ორი არსებული მოდელიდან შეირჩა არჩევითი შესყიდვის (Optional Purchase) მოდელი, მისი მოქნილობის გამო; ასევე განისაზღვრა მოსახლეობის მოცვის სავარაუდო მაჩვენებელი - 20%. მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობაზე გადაანგარიშებით, თუ ქვეყანა გადაწყვეტს ვაქცინის ორი დოზით აცრას, მას დასჭირდება შეისყიდოს 1,484,400 დოზა ვაქცინა.

აღნიშნული მოდელით, მონაწილე ქვეყანას შეუძლია უარი განაცხადოს ნებისმიერ შემოთავაზებულ ვაქცინაზე და შეინარჩუნოს მისთვის განკუთვნილი დოზების სრულად მიღების შესაძლებლობა, თუმცა აცნობიერებს, რომ კონკრეტულ ვაქცინაზე უარის თქმამ შესაძლოა გამოიწვიოს ვაქცინების მიღების გადავადება, განსაკუთრებით განაწილების პირველ ეტაპზე, როცა მხოლოდ 1 ან ორი ვაქცინა იქნება ხელმისაწვდომი და რაოდენობები შეზღუდული.

ასევე აღნიშნული მოდელით, ვაქცინების მიღებაზე უარი შეიძლება გაცხადდეს ნებისმიერი მიზეზით. თუმცა მონაწილესათვის მისაღები წარმატებული ვაქცინისთვის, მონაწილე მიიღებს წინასწარ გადახდილი თანხის პროპორციულ რაოდენობას. ხოლო თუ ქვეყანა არ შეიძენს შერჩეულ რაოდენობას სრულად ობიექტის გავლით, დარჩენილი წინასწარ გადახდილი თანხა უკან აღარ დაუბრუნდება. შესაბამისად, ქვეყანა იხდის წინასწარი რისკების გაზიარების საგარანტიო თანხას.

8 სექტემბერს, სამინისტრომ ვაქცინების გლობალური ალიანსიდან მიიღო ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულების (Commitment Agreement) ინდივიდუალური ვერსია (აღნიშნული ელ. კორესპონდენცია და ხელშეკრულების დოკუმენტი იხილეთ დანართის სახით), რომელიც ეფუძნება 31 აგვისტოს სამინისტროს მიერ ხელმოწერილ COVAX ფონდში ჩართულობის დადასტურების წერილში მითითებულ პირობებსა და წესებს. ხელშეკრულების შემოთავაზებული დოკუმენტი ასევე შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის ვალდებულებებისა და ვადების შესახებ.

ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულება (Commitment Agreement), რომელიც ხელმოწერის შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს შორის შეთანხმებას, ფონდს უნდა წარედგინოს 2020 წლის 18 სექტემბრამდე.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 9 ოქტომბრამდე, ქვეყანა წინასწარ იხდის ვაქცინის ღირებულების ე.წ. წინასწარ გადასახადს 3,10 აშშდოლარს 1 დოზაზე, ანუ 4,601,640 აშშ დოლარს. ვაქცინის სრული ღირებულება ($10,55/დოზა) შეადგენს 16,254,180 აშშ დოლარს, რისკების გაზიარების საგარანტიო თანხის გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ შეადგენს 593,760 აშშ დოლარს (0.40 აშშ დოლარი/დოზაზე).

ფონდის ინფორმაციით ვაქცინების დაფინანსების წყარო შესაძლებელია იყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით COVAX ფონდში ქვეყნის ჩართვასთან დაკავშირებული ვაქცინების შეძენის წინასწარი გადასახადი (4,601,640 აშშ დოლარი) დაიფაროს მსოფლიო ბანკის (WB IBRD 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB L0388A) *COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების* პროექტის ფარგლებში, რისთვისაც საჭიროა პროექტის დონორებთან შუამდგომლობა, ან გამოიყოს შესაბამისი ფინანსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, განსახილველად რჩება ვაქცინის დარჩენილი ღირებულების ალოკაციის საკითხი.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია